



მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტები

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 805 კმ<sup>2</sup>. მუნიციპალური და რეგიონის ცენტრია - ქალაქი მცხეთა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად დაბალ და საშუალო მთიანია, სიმაღლე ზღვის დონიდან 670-1600 მ-ის ფარგლებში იცვლება. მცირე მიწიანობის მიუხედავად მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ბუნებრივი პირობების მიხედვით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება საქართველოს უმნიშვნელოვანესი მდინარე მტკვარი. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მტკვრის მთავარი შენაკადებია: ხეკორძულა, არაგვი და დიღმისწყალი. მცხეთის მუნიციპალიტეტის დასავლეთ საზღვართან ჩამოედინება მდინარე ქსანი. მუნიციპალიტეტში არის ტბებიც, მოიპოვება არტეზიული წყლებიც.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. ტყესა და ბუჩქნარს უკავია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 17 %. თუმცა ფლორა მრავალფეროვანია. მდიდარია მუნიციპალიტეტის ფაუნა. ფაუნის სიმდიდრეს უპირველეს ყოვლისა განაპირობებს საგურამოს ნაკრძალი, რომელიც დაარსდა 1946 წელს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 52,2 ათას მაცხოვრებელს, მ.შ. 26,7 ათასი ქალი და 25,9 ათასი კაცი.

ქალაქი მცხეთა მუნიციპალური ცენტრია და მისი მოსახლეობა 7478 მაცხოვრებელია, ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14,3 %. მუნიციპალიტეტში 9900 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს. დიდი სოფლებია წეროვანი (8,2 ათასი) და მუხრანი (6,2 ათასი).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 27 წევრისგან. მათგან 18 არჩეულია პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. საკრებულოში შექმნილია 2 ფრაქცია და 5 კომისია: სამანდატო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ქონების მართვის კომისია, ინფრასტრუქტურის კომისია.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში შემავალი 1 ქალაქი და 63 დასახლებული პუნქტი (სოფლები: არაშენდა, აღდგომლიანთკარი, ახალდაბა, ახალი ნიჩბისი, ახალსოფელი, ახალუბანი, ბევრეთი, ბიწმენდი, ბურიანი, გალავანი, გოროვანი, ერედა, ვაზიანი, ვარდისუბანი, ზაქარო, ზემო ნიჩბისი, თეზამი, კარსანი, კველიანი, კოტორაანთკარი, ლამი, ლელობი, ლელუბანი, ლისი, მამკოდა, მისაქციელი, მსხალდიდი, მუხათგვერდი, მუხათწყარო, მუხრანი, მშრალხევი, ნავდარაანთკარი, ნავაზი, ნატახტარი, ნაფეტვრები, პატარა ქანდა, საგურამო, სათოვლე, სასხორი, სხალტა, ტაბარუკი, უფურუთი, ფრეხეთი, ქვემო ლისი, ქვემო ნიჩბისი, ქსანი, ქსოვრისი, შანკვეანი, ჩარდახი, ციხისძირი, ცხვარიჭამია, ძალაანთხევი, ძალისი, ძეგვი, ძველი ქანდა, წეროვანი, წილკანი, წინამძღვიანთკარი, წიწამური, წოდორეთი, ჭილაანთკარი, ხეკორმი, ჯილაურა) დაყოფილია 22 ადმინისტრაციული ერთეულად: ქალაქ მცხეთის და სოფლების - საგურამო, მუხრანი, ვაზიანი, წეროვანი, ძალისი, წილკანი, მისაქციელი, ნატახტარი, ქსანი, ციხისძირი, აღდგომლიანთკარი, ქსოვრისი, გალავანი, ცხვარიჭამია, ძეგვი, ნიჩბისი, ლისი, ჯილაურა, ძველი ქანდა, ნავაზი, ნავდარაანთკარი - ადმინისტრაციული ერთეულები.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს სოფლებს: უფურეთი, ჭილაანთკარი, მუხათწყარო, ტაბარუკი, ბევრეთი, მსხალდიდი, ლელობი, ახალდაბა, შანკვეანი, ცხვარიჭამია, ლელუბანი, თეზამი, კველიანი, სათოვლე (ნაბარები), სხალტა)

მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ღირსშესანიშნაობებია: ქალაქი მუზეუმი მცხეთა - სვეტიცხოვლის და სამთავროს კომპლექსები, მცხეთის ჯვარი, ბებრისციხე, არმაზციხე, პომპეუსის ხიდი, აგრეთვე ზაჰესი, ზედაზნის კომპლექსი, ქსნის ციხე, ნასტაგისის ნამოსახლარი, შიომღვიმის კომპლექსი, ისტორიული სოფლები: დიდგორი, მუხრანი, წილკანი;

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი), მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი); შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაური, ნარეკვაკი-მცხეთა-რკინიგზის სადგური (6.4 კმ), ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის ს/გზის კმ 25 წინარეხი-ქვათახევი, წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია (20.8 კმ), მცხეთა-შიომღვიმის მონასტერი (11.4), ნატახტარი-წილკანი-მუხრანი (16.1 კმ), ზაჰესი-ჯვრის მონასტერი (6,7 კმ), ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 189.6 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, აქ გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, და მდებარეობს ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი;

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საწარმო/ქარხნები: სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „აქვა გეო“, სს „მატო მუხრანი“, შპს „ბარამბო“, სს „ლომისი“, სს „აისი“, სს „მინა“, შპს „ლოიდილი“, სს „ქართული ლუდის კომპანია“, შპს „ფაბრიკა 1900“, შპს „ფუდ ალიანსი“, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: ცეოლითი, ქვიშა/ ხრეში (სოფ. ძეგვის, ციხისძირის მიდამოებში); კირქვა (სოფ. სასხორის მიდამოებში); ქვიშა (სოფ. წიწამურის, ნიჩბისის, საგურამოს მიდამოებში); სააგურე თიხა (სასხორის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე); ოქროს შემცველი ქვიშები (თემამის ხეობაში მდ. ბერების ხევიდან მდ. არაგვის შესართავამდე 15 კმ. მანძილზე).

მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2023 წელს შემუშავდა 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში

გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება ;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

## **თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ნაწილი I**

### **2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი**

საპროგნოზო გათვლებით 2024-2027 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება.

2024 წლისთვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 33 833,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 32 903,0 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 26,824.7 ათასი ლარი (აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი - 12,824.7 ათასი ლარი, ხოლო ქონების გადასახადი - 14 000,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლების წილი - 5 808,0 ათასი ლარი, გრანტების (მიზნობრივი) წილი - 270,3 ათასი ლარი.

2024 წლისთვის არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა შეადგენს 930,0 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები (33 833,0 ათასი ლარი) და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

**2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები  
პრიორიტეტების მიხედვით**

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნობა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,464	33,833.0	35,320.1	39,827.0	42,977.5
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	201	9,663.0	9,793.1	10,382.9	11,566.4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	115	7,510.5	11,088.0	14,396.0	15,017.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	176	3,000.0	2,800.0	2,955.0	2,955.0
04 00	განათლება	555	7,602.9	6,565.8	6,833.4	8,344.8
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	382	3,374.0	2,890.0	3,026.5	2,952.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	35	2,682.6	2,183.2	2,233.2	2,141.4

მუნიციპალიტეტის 2022-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
<b>I. შემოსავლები</b>	<b>38,654.8</b>	<b>38,640.9</b>	<b>32,903.0</b>	<b>34,720.1</b>	<b>39,227.0</b>	<b>42,577.5</b>
გადასახადები	21,967.2	23,029.6	26,824.7	28,910.1	32,900.0	37,887.5
გრანტები	7,050.2	10,031.3	270.3	-	-	-
სხვა შემოსავლები	9,637.5	5,580.0	5,808.0	5,810.0	6,327.0	4,690.0
<b>II. ხარჯები</b>	<b>25,767.0</b>	<b>32,879.9</b>	<b>30,145.5</b>	<b>27,754.3</b>	<b>29,579.1</b>	<b>33,301.7</b>
შრომის ანაზღაურება	4,016.3	5,129.3	5,652.3	5,963.6	6,575.6	7,200.3
საქონელი და მომსახურება	5,930.3	10,533.2	5,789.9	5,282.6	5,790.7	7,704.2
პროცენტი	62.3	65.8	65.0	65.8	65.8	65.8
სუბსიდიები	13,770.9	14,189.8	15,820.5	14,122.0	14,761.1	16,002.2
გრანტები	42.0	42.0	142.0	42.0	42.0	42.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,156.7	1,468.8	1,442.0	1,569.3	1,600.0	1,544.0
სხვა ხარჯები	<b>788.5</b>	1,451.0	1,233.8	709.0	744.0	743.2
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>12,887.8</b>	<b>5,760.9</b>	<b>2,757.5</b>	<b>6,965.8</b>	<b>9,647.8</b>	<b>9,275.8</b>

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>11,808.0</b>	<b>41,499.6</b>	<b>2,630.5</b>	<b>6,840.0</b>	<b>9,522.0</b>	<b>9,150.0</b>
ზრდა	25,173.7	42,099.6	3,560.5	7,440.0	10,122.0	9,550.0
კლება	13,365.7	600.0	930.0	600.0	600.0	400.0
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>1,079.8</b>	<b>- 35,738.7</b>	<b>127.1</b>	<b>125.8</b>	<b>125.8</b>	<b>125.8</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>954.1</b>	<b>- 35,864.5</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
ზრდა	954.1	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	954.1	-	-	-	-	-
კლება	-	35,864.5	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	35,864.5	-	-	-	-
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 125.7</b>	<b>- 125.8</b>	<b>- 127.1</b>	<b>- 125.8</b>	<b>-125.8</b>	<b>- 125.8</b>
კლება	125.7	125.8	127.1	125.8	125.8	125.8
საშინაო	125.7	125.8	127.1	125.8	125.8	125.8
სესხები	125.7	125.8	127.1	125.8	125.8	125.8
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

## ნაწილი II

გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის (6 თვის მონაცემებით) ბიუჯეტის შესრულება

### 2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **33 279,4** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **52 020,5** ათ.ლარი, ანუ გეგმის 156% .

### შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 32 679,4 ათასი ლარი, ფაქტობრივად 38 654,8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 118% და მთლიანი შემოსულობების - 74% შეადგინა.

1. **გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მოზილიზებულია 21 967,2 ათასი ლარი, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 19 779,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2 187,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13 612,5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 9 370,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 733,2 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 436,2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 13 593,0 ათასი ლარი) შედარებით 19,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადზე და სასოფლო და არასასოფლო მიწებზე ქონების გადასახადებზე მოდის. (2021 წლის ფაქტი - 3 747,5 ათასი ლარი).

**დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 8 354,7 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 6 186,3 ათასი ლარი) შედარებით 2 168,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

## 2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია სულ **7 050.2 ათასი ლარი**, მათ შორის:

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის (მთავრობის განკარგულება N277 15.02.2022წ.)- 836,0 ათასი ლარი;

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N75 17.01.2022წ.) - 4 985,4 ათასი ლარი,

**საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის** ფარგლებში (მთავრობის განკარგულება N2374 27.12.2021წ.) - 300,0 ათასი ლარი;

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის** (მთავრობის განკარგულება N1934 25.10.2022წ.)- 99,9 ათასი ლარი;

**მიზნობრივი ტრანსფერი 828,8 ათასი ლარი, მ.შ.:** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 405.0 ათ. ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 199.0 ათასი ლარი („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 206.0 ათასი ლარი) და **საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის** (მთავრობის განკარგულება N51 14.01.21წ.) - 423,8 ათასი ლარი;

## 3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 4,120 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ **9 637,5 ათასი ლარი** შეადგინა, რაც გეგმის 234%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 7 807.9 ათასი ლარი) შედარებით 1 829.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

**პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3 329,3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2591.9 ათასი ლარი) შედარებით 737.4 ათასი ლარით მეტია.

**რენტის** სახით მობილიზებულია 1182,1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (925,4 ათასი ლარი) შედარებით 256,7 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: **ბუნებრივი რესურსებით**

სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1020,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 161,6 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 1 279,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (770,0 ათასი ლარი) 166%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 676,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (120,0 ათასი ლარი) 564%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 55,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10.0 ათასი ლარი) 551%-ია.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 697,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 000,0 ათასი ლარი) 185%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2 999,7 ათასი ლარი) შედარებით 999,7 ათასი ლარით მეტია.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 94,1 ათასი ლარი.

### არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 13 365,7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 683,8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 12 681,8 ათასი ლარი.

### ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 69 212,0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 51 066,4 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 74%-ია, წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (64%) მეტია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 14 882,0 ათასი ლარით მეტი.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 29 302,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 25 767,0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 88% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 51%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39 783,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 25173,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 63% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 49%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 125,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%-ია;

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური  
კლასიფიკაციის მიხედვით**

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 25 767,0 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 205,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4016,3 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 96%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 15,6%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 8 193,2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 5 930,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 72%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 23%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 62,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 62,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 13 946,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 770,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 53,4%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 5692,8 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 2432,4 ათასი ლარი;
- სასამელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 583,0 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა 330,0 ათასი ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა 73,9 ათასი ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 128,5 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 1572,4 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები - 1495,1 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები 289,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა 172,9 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 42,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.2%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით დაფინანსებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯები.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1404,9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1156,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 80%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 4,5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 787,1 ათასი ლარი

ერთჯერადი სოციალური დახმარებები - 92,3 ათასი ლარი;  
დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება -22,1ათასი ლარი  
ცელიაკით დაავადებული 3 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება - 3,0 ათასი ლარი;  
მესამე და მეტი შვილის შეძენის გამო ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 10,4 ათასი ლარი;  
გაჭირვებული მოსახლეობისთვის საწვავი შეშის შეძენა - 20,1 ათასი ლარი;  
18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული 6 ბენეფიციარის საკურორტო დახმარება - 5,8 ათასი ლარი.  
სკოლამდელი ასაკის ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა -182,3 ათასი ლარი.  
გარდაცვლილი ვეტერანების სარიტუალო მომსახურებისთვის ფინანსური დახმარება - 1,3 ათასი ლარი;  
9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე 3 ვეტერანზე ფინანსური დახმარება - 1,5 ათასი ლარი;

**„სხვა ხარჯების”** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1447,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 788,5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 55%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,1%-ია.  
სხვა ხარჯების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს** წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები - 63,3 ათ. ლარი;

**მუნიციპალიტეტის მერია** - მწვრთნელების და წარმატებული სპორტსმენების ჯილდოს დაფინანსება, სასამართლო განჩინებით დაკისრებული განაცდური ხელფასის ანაზღაურება, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სამედიცინო პერსონალისთვის სასაჩუქრე კალათის შესყიდვა , სულ **182,5 ათ.ლარი**;

**მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია** - 127,2 ათ.ლარი - მცხეთაში, ანტიოქიის ქუჩა N10-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლიდან წყლის მოსაცილებლად დრენაჟის მოწყობა; ქ. მცხეთაში, არმაზის დასახლებაში N2 -ში N8 კორპუსის გამაგრება-აღდგენა; ქ. მცხეთაში რკინიგზის სადგურის დასახლებაში (ს/კ 72.07.08.096) საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

**საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** - 20,4 ათ.ლარი - ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, სამხედროს ქ.N12 ა-ში საცხოვრებელი კორპუსის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. გალავანში საბავშვო ბაღის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. საგურამოში კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება** - 5,4 ათ.ლარი;

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება** - 196,6 ათ. ლარი: ქ. მცხეთაში ხანძრის შედეგად დაზიანებული კორპუსის სახურავის აღდგენა; სოფ. ნიჩბისში საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენა, სოფ. საგურამოში სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად მასალის შეძენა.

**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა** - 41,5 ათ. ლარი - ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 151,7 ათ. ლარი - ხანძრით დაზარალებულთათვის ერთჯერადი დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის სამშენებლო მასალებით დახმარება.

**ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა  
ფუნქციონალურ ჭრილში**

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	9,747.8	8,202.8
702	თავდაცვა	250.0	246.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	22,952.3	14,470.5
705	გარემოს დაცვა	3,647.0	3,369.6
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	15,029.1	10,641.5
707	ჯანმრთელობის დაცვა	294.6	294.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6,791.2	4,965.2
709	განათლება	8,164.5	6,796.9
710	სოციალური დაცვა	2,209.7	1,953.4
	<b>სულ</b>	<b>69,086.3</b>	<b>50,940.7</b>

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:**

- ✓ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 25 112,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (37 981,4 ათასი ლარი) 66,1%-ია;
- ✓ პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 369,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 647,0 ათასი ლარი) 92%-ია;
- ✓ პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 796,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (8 164,5 ათასი ლარი) 83%-ია;
- ✓ პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 965,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (6 791,2 ათასი ლარი) 73%-ია;
- ✓ პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 247,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 504,3 ათასი ლარი) 90%-ია;
- ✓ პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 574,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 123,6 ათასი ლარი) 85%-ია.

**სარეზერვო ფონდი**

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 280,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ფონდიდან თანხა არ გამოყოფილა;

## წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ცალი) და ნარჩენების კონტეინერების (200 ცალი) გადაცემა. სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა **188,0** ათასი ლარი, აქედან, ვალების მომსახურებისათვის (**პროცენტების გადახდა**) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა **62,3** ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - **125,7** ათასი ლარი.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსულობებმა შეადგინა 28,442.8 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 22,525.5 ათ.ლარის 126,3 % -ია. 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (24,378.1 ათ. ლარი) 4,064.7 ათ.ლარით მეტი შემოსავალი მიღებული.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	6 თვის გეგმა	6 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულების %
შემოსულობები	39,240.9	22,525.5	28,442.8	5,917.3	126.3
შემოსავლები	38,640.9	21,925.5	24,725.9	2,800.4	112.8
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	600.0	3,716.9	3,116.9	619.5

მიმდინარე წლის 6 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმური მაჩვენებლის (39,240.9 ათ.ლარი) 72,5 %-ია.

### 1. შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 21,925.5 ათ.ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **24,725.9** ათ.ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112.8%, ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 86,9 %.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს:

### 1. გადასახადები

2023 წლის 6 თვეში საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივ შესრულებაზე მოდის 15,891,4 ათ.ლარი, რაც შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლის - 15,376.0 ათ.ლარის 103,4 % ია. მთლიან შემოსულობებში საგადასახადო წილი შეადგენს 55.9 %-ს.

2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (13,191,6 ათ.ლარი) მიმდინარე პერიოდში 2,699,8 ათ.ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქონების გადასახადი** - 2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, ქონების გადასახადის ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 11,056.0 ათ.ლარს, კერძოდ, საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 10,748.3 ათ.ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 5.9 ათ.ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 45.3 ათ.ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 181.3 ათ.ლარი;

**დამატებული ღირებულების გადასახადი** - მიმდინარე პერიოდის გეგმური მაჩვენებელი შეადგენდა 5,000.0 ათ. ლარს, საკასო - 4,835.4 ათ.ლარს. შესრულდა 96.7 %-ით.

## 2. გრანტები

2023 წლის 6 თვის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულ იქნა 3,749.5 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

დასახელება	ათასი ლარი			შესრულების %
	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	
<b>გრანტები</b>	<b>10,031.3</b>	<b>3,749.5</b>	<b>3,749.5</b>	<b>100.0</b>
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტი	10,031.3	3,749.5	3,749.5	100.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	980.4	549.2	549.2	100.0
მიზნობრივი , მ.შ.:	980.4	549.2	549.2	100.0
მიზნობრივი ტრანსფერი (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და თავდაცვა)	475.0	237.6	237.6	100.0
მიზნობრივი - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობის განკარგულება N147 23.01.22წ.)	505.4	311.6	311.6	100.0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი</b>	<b>8,680.0</b>	<b>3,200.3</b>	<b>3,200.3</b>	<b>100.0</b>
კაპიტალური ტრანსფერი (რგფ, საქართველოს მთავრობის განკარგულება N2475 29.12.22წ.)	4,664.0	2,830.3	2,830.3	100.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (საქართველოს მთავრობის განკარგულება N2476 29.12.22წ.)	846.0	100.0	100.0	100.0
კაპიტალური გრანტი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N545 17.03.23წ.)	270.0	270.0	270.0	100.0
სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო	2,900.0	0.0	0.0	0.0

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის საკასო შესრულება	შესრულების %
ლონისძიებებისთვის (საქართველოს მთავრობის განკარგულება N592 27.03.23წ.)				
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N 301 09.02.2023წ.)	370.9	0.0	0.0	0.0

### 3. სხვა შემოსავლები

2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების 6 თვის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 2,800.0 ათასი ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 5,085.0 ათ.ლარი, ანუ გეგმის 181,6 %.

2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (4,598,8 ათ.ლარი) 486.2 ათ. ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 2,232.0 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 960.0 ათ.ლარის - 232.5 %-ია. მათ შორის:

**პროცენტებიდან** მობილიზებულია 1,692.1 ათ.ლარი, რაც 6 თვის გეგმის 500.0 ათ.ლარის 338,4 %-ს შეადგენს.

**რენტის** სახით მიღებულია 539.9 ათასი ლარი, რაც 6 თვის გეგმის 460,0 ათ. ლარის 117,4%-ს შეადგენს. აქედან, **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე** მოდის 439.7 ათ.ლარი, **მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი და სხვა) გადაცემიდან** შემოსავალზე 100.2 ათ.ლარი.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 732.2 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (710.0 ათ.ლარი) 103.1 %-ია. აქედან:

**ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** - 703.9 ათ.ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 396.7 ათ.ლარი; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 2.0 ათ.ლარი; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი - 305.2 ათ.ლარი;

**არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები**- 28.3 ათ.ლარი.

**სანქციები, ჯარიმები და საურავები** - 1,872.8 ათ.ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,130.0 ათ.ლარი) 166.0 %-ია.

**ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** - 248.0 ათ.ლარი;

**არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან** მიღებული შემოსულობა 2023 წლის 6 თვეში შეადგენს 3,716.9 ათ.ლარს, ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 13.1 %-ს, მათ შორის, შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა - 600.4 ათ.ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა - 3,116.5 ათ.ლარი (არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 1,616.2 ათ.ლარი და სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1,500.3 ათ. ლარი).

## ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5,625.7 ათ.ლარი, რაც მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 21 %-ს შეადგენს.
- თავდაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 142.8 ათ.ლარი, რაც მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 0.5 %-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 6,920.6 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 25.9 %.
- გარემოს დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1,495.4 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 5,6 %.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4,287.7 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 16 %.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 150.9 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 0,6 %.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2,488.2 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 9.3 %.
- განათლების სფეროში საკასო შესრულებამ კი - 4,685.5 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 17.5 %.
- სოციალური დაცვის სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 970.4 ათ.ლარი, მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (26,767.0 ათ.ლარი) 3,6 %.

### 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	პერიოდი ს ხარჯი	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	%-ული წილი
მცხეთის მუნიციპალიტეტი						
გადასახდელების ჯამი	75,105.4	49,044.9	26,829.9	22,215.1	54.7	100.0
ხარჯები	32,879.9	19,047.9	14,943.6	4,104.3	78.5	55.7
შრომის ანაზღაურება	5,129.3	2,682.1	2,267.7	414.4	84.5	8.5
საქონელი და მომსახურება	10,533.2	5,758.1	3,666.3	2,091.7	63.7	13.7
პროცენტი	65.8	32.9	25.6	7.3	77.8	0.1

დასახელება	გეგმა წლის	გეგმა პერიოდის	პერიოდის ხარჯი	სხვაობა	შესრულება პერიოდის(%)	%-ული წილი
სუბსიდიები	14,189.8	8,797.6	7,773.3	1,024.3	88.4	29.0
გრანტები	42.0	22.0	22.0	0.0	100.0	0.1
სოციალური უზრუნველყოფა	1,468.8	768.6	653.9	114.7	85.1	2.4
სხვა ხარჯები	1,451.0	986.61	534.8	451.8	54.2	2.0
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>42,099.6</b>	<b>29,934.2</b>	<b>11,823.4</b>	<b>18,110.7</b>	<b>39.5</b>	<b>44.1</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>125.8</b>	<b>62.9</b>	<b>62.9</b>	<b>0.0</b>	<b>99.9</b>	<b>0.2</b>

**შრომის ანაზღაურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,267.7 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 8.5 %-ია.

**საქონელი და მომსახურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3,666.3 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 13.7 %-ია.

**პროცენტის** მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25.6 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0.1 %-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

**სუბსიდიის** სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,773.3 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 29.0 %-ია.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 3,739.8 ათ. ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 1,088.0 ათ. ლარი;
- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 775.0 ათ. ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 121.9 ათ. ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 17.3 ათ. ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 37.2 ათ. ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 835.6 ათ. ლარი;
- კულტურის ღონისძიებები 917.8 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 150.9 ათ. ლარი;
- სოციალური დაცვა - 89.8 ათ. ლარი;

**გრანტების** სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 22.0 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0,1 %-ია. ამ მუხლიდან დაფინანსდა სსიპ „ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯები.

**სოციალური უზრუნველყოფის** სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 653.9 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 2,4 %-ია.

**სოციალური უზრუნველყოფის** მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება 308,3 ათ.ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 686 ბენეფიციარმა.
- აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების ფინანსური დახმარება - 96,9 ათ. ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს.
- ერთჯერადი სოციალური დახმარებები 61.7 ათ.ლარი; პროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 476 ბენეფიციარმა.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება -23.8 ათ.ლარი (21 ბენეფიციარი);
- მესამე და მეტი შვილის შეძენის გამო ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 15,9 ათ. ლარი. საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 52 ბენეფიციარმა.
- ცელიაკით დაავადებული 5 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება - 5.0 ათ.ლარი;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 104.8 ათ. ლარი;
- ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 1.0 ათ.ლარი,
- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის - 1.0 ათ.ლარი, დახმარება გაიცა 2 ბენეფიციარზე.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 534.8 ათ.ლარი, მთლიანი ასიგნებების მოცულობის 2,0 % ; ამ მუხლიდან დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები - 38.9 ათ.ლარი;
- მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდო - 5.5 ათ.ლარი;
- ახალი წლის და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო კალათის შესყიდვა გაჭირვებული მოსახლეობისთვის და 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის ტკბილეულის კალათების შესყიდვა - 313.0 ათ.ლარი;
- 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიან დედებისთვის სასაჩუქრე ნაკრების (ტკბილეულობა) შეძენა - 21.3 ათ.ლარი;
- თავშესაფრის არმქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა - 1.6 ათ.ლარი;
- წარჩინებული მოსწავლეების წახალისება, ფულადი ჯილდო - 18.5 ათ.ლარი;
- შშმ ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 131.5 ათ.ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაიხარჯა 11,823.4 ათ.ლარი, მთლიანი ასიგნებების მოცულობის 44.1%;

ამ მუხლიდან ძირითადად დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სოფ. ძეგვში (ნაკურთხევის გზა) შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 304,0 ათ.ლარი;
- სოფ. ქსოვრისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 46,9 ათ.ლარი;
- სოფ. ნაფეტვრების (ნაფეტვრები 2) შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგვ), (- 451,9 ათ.ლარი);

- **სოფ. წოდორეთში** შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ) - **998,2** ათ.ლარი;
- **სოფ. მამკოდას მიმდებარედ, ხოდაბუნების** დასახლების მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა) - 81,7 ათ. ლარი;
- **სოფ. კოტორაანთკარში** შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 85,2 ათ. ლარი;
- **სოფ. ნიჩბისში** შიდა საუბნო გზის ბეტონის საფარით მოწყობა - 88,9
- **სოფ. მუხრანში** შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ღვინის ქარხნის უბანი, წყაროს უბანი და ბაინდურაანთ უბანი) (რგფ) - 578,0 ათ. ლარი;
- **სოფ. მუხრანში** გზების რეაბილიტაცია (აბანოს უბანი, ინდუაანთ უბანი, მერებაანთ უბანი, გალაშკას უბანი, II მონაკვეთი) - 200,2 ათ. ლარი;
- **სოფ. ციხისძირის** შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 127,7 ათ. ლარი;
- **სოფ. მისაქციელში** შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (I და II მონაკვეთი) - 422,7 ათ. ლარი;
- **სოფ. მისაქციელში** შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ) – 208,4 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (ხეტიანთუბანი, I და II მონაკვეთი, რგფ) - 341,3 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** (პავლიაანთუბანი) შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 49,2 ათ. ლარი;
- **სოფ. წინამძღვრიანთკარში** შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა (დასრულდა) - 423,0 ათ. ლარი;
- **სოფ. გალაგანში** შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა - 103,5 ათ. ლარი;
- **სოფ. მსხალდიდში** შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა - 116,3 ათ. ლარი;
- **სოფ. საგურამოში და ზაქაროში** შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა - 75,0 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე) - 123,5 ათ. ლარი (დასრულდა);
- **ქ. მცხეთაში**, ბაგინეთის მთაზე მონასტრის ტერიტორიის დაცვა ქვათაცვენისგან - **17.7** ათ. ლარი (დასრულდა);
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფანტანიდან ბაზრის ჩასახვევამდე) - 192,5 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან სვეტიცხოვლის შესასვლელამდე, გამსახურდიას ქუჩის დასაწყისი) - 176,2 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე) (რგფ)– 125,2 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოები (რგფ) -402,0 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების, ბორდიურების, გამწვანების და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია -108,9 ათ. ლარი;
- **სოფ. ბიწმენდში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ), (დასრულდა) -33,5 ათ. ლარი;
- **სოფ. ნიჩბისში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა - 50,3 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ), (დასრულდა) - 68,0 ათ. ლარი;
- **სოფ. ძალისში** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 35,7 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** შადრევნის რეაბილიტაცია (კაფე გვირილასთან) – 23,3 ათ. ლარი;
- **სოფ. ქსანში** ისტორიულ ციხეზე მინათებების მოწყობა (დასრულდა) - 172,3 ათ. ლარი;

- **ქ. მცხეთა**, ნარეკვავის დასახლებაში სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა - **21,8** ათ. ლარი;
- **სოფ. წინამძღვრიანთკარში** სკვერის მოწყობა (დასრულდა) - **221,1** ათ.ლარი;
- **სოფ. ქსანში** სკვერის (ს/კ72.10.08.127) მოწყობა (დასრულდა) - **402,4** ათ.ლარი.
- **სოფ. ძალისში** სკვერის მოწყობა - 153,8 ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია -**25,3** ათ.ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის) რეაბილიტაცია - 16,1 ათ. ლარი;
- **სოფ. ციხისძირში** არსებული სკვერის (ს/კ72.10.03.337) რეაბილიტაცია (დასრულდა) - **267,6** ათ. ლარი;
- **სოფ. ციხისძირში** არსებული სკვერის (N8 კორპუსის მიმდებარედ) რეაბილიტაცია (დასრულდა) - **108,7** ათ. ლარი;
- **სოფ. წეროვანში**, იგპ დასახლებაში, სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა (დასრულდა) - **193,5** ათ. ლარი;
- **სოფ. წილკანში**, იგპ დასახლებაში, მინი სპორტული მოედნისა და სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები(დასრულდა) -**147,2** ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, შოთა რუსთაველის ქუჩაზე, სათამაშო მოედნის მოწყობა - **97,2** ათ. ლარი;
- **სოფლის პროგრამის** მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები - 23,2 ათ. ლარი;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - **214,2** ათ. ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღირებულება - **253,4** ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში** ტერიტორიების გასამწვანებლად მრავალწლიანი ხის ნერგების შესყიდვა და მოვლა-პატრონობა - 73,5 ათ. ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა (2022წ) – 124,9 ათ. ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გათბობა-ვენტილაციის მოწყობა - 457,1 ათ. ლარი;
- მუნიციპალიტეტში მშენებარე ბაღების კომუნიკაციის ქსელზე დაერთება - 33,6 ათ. ლარი;
- **სოფ. წეროვანში** არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები - **71,1** ათ. ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა - **92,6** ათ.ლარი;
- **ქ. მცხეთაში**, ნარეკვავის დასახლებაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა - **27,0** ათ. ლარი;
- **სოფ. ძეგვში** მინი სპორტული მოედნის მოწყობა - **172,6** ათ. ლარი;
- **სოფ. მუხრანში** მინი სპორტული მოედნის მოწყობა (დასრულდა) - **137,7** ათ. ლარი;
- **სოფ. მუხრანში (პატარა ქანდა)** მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა - **148,6** ათ. ლარი;
- 41 ერთეული კომპიუტერის შესყიდვა- 68,6 ათ. ლარი;
- 40 ერთეული პრინტერის შესყიდვა- 42,0 ათ. ლარი;
- 2 ერთეული დიზელ-გენერატორის შესყიდვა - 36,9 ათ. ლარი;
- 2 ერთეული მესამე კლასის მსუბუქი ა/მანქანის შესყიდვა- 68,3 ათ. ლარი;
- 10 ერთეული ავტობუსის სახელშეკრულებო ღირებულების საავანსო ანგარიშსწორება (40%) - **1 374,0** ათ. ლარი;

**ვალდებულებების დაფარვა** - სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის

კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავზიდი მანქანის (5 ერთეული) და ნარჩენების კონტეინერების (200 ერთეული) გადაცემა. საანგარიშო პერიოდში ვალების დაფარვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 62,9 ათასი ლარი. მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0,2 %-ია.

### თავი III

#### მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

##### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,510.5	11,088.0	14,396.0	15,017.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,410.0	3,190.0	5,619.5	6,107.9
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	-	-	-	1,107.9
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	1,250.0	1,690.0	3,325.0	3,000.0
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	160.0	1,500.0	2,294.5	2,000.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,330.0	4,660.0	4,866.5	4,120.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,160.0	1,165.0	1,200.0	1,000.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	70.0	3,375.0	3,532.5	3,020.0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100.0	120.0	134.0	100.0
